საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

თხილის ბაზრის მონიტორინგის ანგარიში

თბილისი

2024 წელი

შესავალი *1*
1. თხილის შესაბამისი ბაზარი *1*
1.1. თხილის ბაზრის პროდუქციული საზღვრები 1
1.2. შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები 2
1.3. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო 2
2. ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასება *2*
2.1. თხილი (ნაჭუჭგაცლილი და ნაჭუჭგაუცლელი) 3
2.2. ნაჭუჭგაცლილი თხილი 5
2.3. ნაჭუჭგაუცლელი 8
3. დასკვნა *9*

შესავალი

შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - „სააგენტო“) თხილის ბაზრის მონიტორინგი დაიწყო „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[2] მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „გურიის თხილის“ მომართვის[1] და სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 13 იანვრის N04/9 ბრძანების საფუძველზე.

„გურიის თხილის“ მომართვის მიხედვით, *„თხილის ექსპორტიორი კომპანიები მოქმედებდნენ შეთანხმებულად, რის შედეგადაც თხილის ფასი თვითღირებულებაზე დაბლა დაეცა, რამაც გამოიწვია დასავლეთ საქართველოში თხილის საშუალო და მცირე გადამამუშავებელი საწარმოების გაჩერება“.*

განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში შესაფასებელ პერიოდს, სააგენტოს ხელთარსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, წარმოადგენდა 2020-2023 წლები.

1. თხილის შესაბამისი ბაზარი

სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია შესაბამისი ბაზრის ანალიზის ეტაპები. კერძოდ, სააგენტოს მიერ განხორციელებული ბაზრის ანალიზი მოიცავს შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირებისა და ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების ეტაპებს. ამავე აქტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება ხდება შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;
ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;
გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

1.1. თხილის ბაზრის პროდუქციული საზღვრები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

[1] სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „გურიის თხილის“ 2022 წლის 21 ნოემბრის N01/2104 წერილით მიღებული ინფორმაცია.

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქვეყნიდან ხორციელდება 2 ტიპის თხილის ექსპორტი, კერძოდ - ნაჭუჭგაუცლელი და ნაჭუჭგაცლილი თხილი. ნაჭუჭგაცლილი თხილი წარმოადგენს ნაჭუჭგაუცლელი თხილის პირველადი გადამუშავების პროდუქტს. გამომდინარე იქიდან, რომ ასოციაციის მომართვა ეხებოდა უშუალოდ თხილს, სააგენტოს არ მსჯელობს თხილის და სხვა კულტურების ჩანაცვლებადობის საკითხზე და თხილის ბაზარს, განიხილავს როგორც ერთიანად, ასევე ინდივიდუალურად ნაჭუჭგაცლილი და ნაჭუჭგაუცლელი თხილის დონეზე.

1.2. შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენისას სააგენტო ითვალისწინებს საქონლის მიწოდებისა და მოთხოვნის თავისუფალი გადაადგილების/გადატანის შესაძლებლობას.

თხილის წარმოება მეტ-ნაკლებად ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში, თუმცა უპირატესად დასავლეთ საქართველოში და ამავდროულად, ის ხელმისაწვდომია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს შეფასდეს კონკურენტული გარემო ბაზრის ექსპორტის დონეზე. შესაბამისად, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს, ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად განისაზღვროს ეროვნული დონე.

1.3. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-13 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში. განსახილველ შემთხვევაში, თხილის რეალიზაცია ხორციელდება უწყვეტად და, შესაბამისად, დროით ჩარჩოს სრული კალენდარული წელი წარმოადგენს.

2. ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასება

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კონკურენტული გარემოს შეფასებისას სააგენტო ითვალისწინებს შემდეგ პარამეტრებს:

ა) შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები;
ბ) შესაბამისი ბაზრის მოცულობა და ეკონომიკურ აგენტებზე წილობრივი გადანაწილება;
გ) შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის დონე;

დ) შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერები;
ე) ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ძალა;
ვ) დამატებითი პარამეტრები, რომელთა გათვალისწინებას სააგენტო აუცილებლად ჩათვლის კონკრეტული ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე.

2.1. თხილი (ნაჭუჭგაცლილი და ნაჭუჭგაუცლელი)

იდენტიფიცირებულ შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების პირველ ეტაპს წარმოადგენს ბაზრის მოცულობის განსაზღვრა, რაც დამოკიდებულია კონკრეტული ბაზრის/ბაზრების ფუნქციონირების თავისებურებებზე. თხილის ბაზრის შემთხვევაში, ბაზრის მოცულობის განსაზღვრა შესაძლებელია როგორც ექსპორტირებული თხილის რაოდენობის, ასევე მისი ღირებულების გათვალისწინებითაც.[2]

2020 წელს - 289.8 მილიონი ლარის ღირებულების 16 675 ტონა თხილის ექსპორტი განხორციელდა 70 ეკონომიკური აგენტის მიერ. ბაზრის ექსპორტის დონის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა **496** ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. ბაზარზე არ ფიქსირდება დომინანტი ეკონომიკური აგენტი, ასევე ადგილი არ აქვს ჯგუფური დომინანტობის არსებობისთვის აუცილებელ ერთ-ერთ პირობას საბაზრო წილების სახით. ყველაზე მსხვილ ექსპორტიორ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენდა შპს „აგრიჯორჯია“.

2021 წელს - 365.7 მილიონი ლარის ღირებულების 23 465 ტონა თხილის ექსპორტი განხორციელდა 79 ეკონომიკური აგენტის მიერ. ბაზრის ექსპორტის დონის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა **518** ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. ბაზარზე არ ფიქსირდება დომინანტი ეკონომიკური აგენტი, ასევე ადგილი არ აქვს ჯგუფური დომინანტობის არსებობისთვის აუცილებელ ერთ-ერთ პირობას საბაზრო წილების სახით. ყველაზე მსხვილ ექსპორტიორ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენდა შპს „აგრიჯორჯია“.

2022 წელს - 277.1 მილიონი ლარის ღირებულების 21 848 ტონა თხილის ექსპორტი განხორციელდა 72 ეკონომიკური აგენტის მიერ. ბაზრის ექსპორტის დონის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა **762** ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. ბაზარზე არ ფიქსირდება დომინანტი ეკონომიკური აგენტი, ასევე ადგილი არ აქვს ჯგუფური დომინანტობის არსებობისთვის აუცილებელ ერთ-ერთ პირობას საბაზრო წილების სახით. ყველაზე მსხვილ ექსპორტიორ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენდა შპს „აგრიჯორჯია“.

2023 წელს - 219.2 მილიონი ლარის ღირებულების 16 169 ტონა თხილის ექსპორტი განხორციელდა 65 ეკონომიკური აგენტის მიერ. ბაზრის ექსპორტის დონის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა **484** ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. ბაზარზე არ ფიქსირდება დომინანტი ეკონომიკური აგენტი, ასევე ადგილი არ აქვს ჯგუფური

[2] სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2024 წლის 18 იანვრის N01/278 წერილით მიღებული ინფორმაცია.
სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2024 წლის 30 იანვრის N01/574 წერილით მიღებული ინფორმაცია.
სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2023 წლის 30 იანვრის N01/337 წერილით მიღებული ინფორმაცია.

დომინანტობის არსებობისთვის აუცილებელ ერთ-ერთ პირობას საბაზრო წილების სახით. ყველაზე მსხვილ ექსპორტიორ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენდა შპს „აგრიჯორჯია“.

2021 წელს 2020 წელთან შედარებით, თხილის ექსპორტი დაახლოებით 40%-ით გაიზარდა, თუმცა 2022 და 2023 წელს ფიქსირდება შემცირების ტრენდი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს დაფიქსირდა ექსპორტირებული თხილის მოცულობის ზრდა, 2020-2023 წლებში ბაზრის მოცულობა პრაქტიკულად არ შეცვლილა:

გრაფიკი 1



2020-2023 წლებში, ექსპორტის დონეზე ბაზარი გამოირჩეოდა კონცენტრაციის დაბალი მაჩვენებელით. სახეზეა ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობის შემცირება, თუმცა საერთო ჯამში ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობის, მსხვილი კომპანიების წილობრივი მაჩვენებლების და კონცენტრაციის ინდექსის გათვალისწინებით, ბაზარი კონკურენტულია:

გრაფიკი 2



2020-2023 წლებში, ხუთი მსხვილი ექსპორტიორი ეკონომიკური აგენტის ჯამური წილი ბაზრის ექსპორტის დონეზე მერყეობს 37%-დან 47%-მდე:

გრაფიკი 3



რაც შეეხება ქვეყნებს, სადაც ძირითადად ხორციელდება თხილის ექსპორტი საქართველოდან, 2020-2023 წლებში ექსპორტი ყველაზე დიდი ოდენობით განხორციელდა იტალიაში (32%), რომელსაც მოყვება გერმანია (20%), სომხეთი (7%) და რუსეთი (4%).

2.2. ნაჭუჭგაცლილი თხილი

2020-2023 წლებში, ქვეყნიდან ძირითადად ხორციელდებოდა ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტი. ამ უკანაკნელის პროცენტული წილი საერთო ექსპორტში, შესასწავლ პერიოდში, შეადგენდა 68-81%-ს:

გრაფიკი 4



2020 წელს - 261.4 მილიონი ლარის ღირებულების 13 533 ტონა ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტი განხორციელდა 61 ეკონომიკური აგენტის მიერ. ბაზრის ექსპორტის დონის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა **420** ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. ბაზარზე არ ფიქსირდება დომინანტი ეკონომიკური აგენტი, ასევე ადგილი არ აქვს ჯგუფური დომინანტობის არსებობისთვის აუცილებელ ერთ-ერთ პირობას საბაზრო წილების სახით. ყველაზე მსხვილ ექსპორტიორ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენდა შპს „გლობალ ექსპორტი“.

2021 წელს - 301.5 მილიონი ლარის ღირებულების 16 020 ტონა ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტი განხორციელდა 64 ეკონომიკური აგენტის მიერ. ბაზრის ექსპორტის დონის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა **358** ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. ბაზარზე არ ფიქსირდება დომინანტი ეკონომიკური აგენტი, ასევე ადგილი არ აქვს ჯგუფური დომინანტობის არსებობისთვის აუცილებელ ერთ-ერთ პირობას საბაზრო წილების სახით. ყველაზე მსხვილ ექსპორტიორ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენდა შპს „ჯორჯიან პროდაქტს რენესანსი“.

2022 წელს - 231.8 მილიონი ლარის ღირებულების 16 055 ტონა ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტი განხორციელდა 61 ეკონომიკური აგენტის მიერ. ბაზრის ექსპორტის დონის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა **460** ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. ბაზარზე არ ფიქსირდება დომინანტი ეკონომიკური აგენტი, ასევე ადგილი არ აქვს ჯგუფური დომინანტობის არსებობისთვის აუცილებელ ერთ-ერთ პირობას საბაზრო წილების სახით. ყველაზე მსხვილ ექსპორტიორ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენდა შპს „ჯორჯიან პროდაქტს რენესანსი“.

2023 წელს - 195.3 მილიონი ლარის ღირებულების 12 905 ტონა ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტი განხორციელდა 58 ეკონომიკური აგენტის მიერ. ბაზრის ექსპორტის დონის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა **379**

ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. ბაზარზე არ ფიქსირდება დომინანტი ეკონომიკური აგენტი, ასევე ადგილი არ აქვს ჯგუფური დომინანტობის არსებობისთვის აუცილებელ ერთ-ერთ პირობას საბაზრო წილების სახით. ყველაზე მსხვილ ექსპორტიორ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენდა შპს „ჯორჯიან პროდაქტს რენესანსი“.

ნაჭუჭგაცლილი თხილის შემთხვევაში, ისევე როგორც თხილის ზოგადი ექსპორტის დონეზე, დაბალია ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი და მაღალია იმ ეკონომიკური აგენტების რაოდენობა, რომლებიც ახორციელებენ ექსპორტს:

გრაფიკი 5



2020-2023 წლებში 5 ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი კომპანიის წილი საერთო ექსპორტში დაბალია და შეადგენდა 31-35%-ს:

გრაფიკი 6



2.3. ნაჭუჭგაუცლელი თხილი

თხილის საერთო და ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტის მონაცემებისგან განსხვავებით, ნაჭუჭგაუცლელი თხილის ბაზრის ექსპორტის სტრუქტურა განსხვავებული ფორმით არის წარმოდგენილი, კერძოდ:

2020 წელს - 28.3 მილიონი ლარის ღირებულების 3 121 ტონა ნაჭუჭგაუცლელი თხილის ექსპორტი განხორციელდა 32 ეკონომიკური აგენტის მიერ. ბაზრის ექსპორტის დონის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა **5050** ერთეული, რაც მაღალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. ყველაზე მსხვილ ექსპორტიორ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენდა შპს „აგრიჯორჯია“.

2021 წელს - 64.1 მილიონი ლარის ღირებულების 7 445 ტონა ნაჭუჭგაუცლელი თხილის ექსპორტი განხორციელდა 45 ეკონომიკური აგენტის მიერ. ბაზრის ექსპორტის დონის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა **2997** ერთეული, რაც მაღალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. ყველაზე მსხვილ ექსპორტიორ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენდა შპს „აგრიჯორჯია“.

2022 წელს - 45.2 მილიონი ლარის ღირებულების 5 792 ტონა ნაჭუჭგაუცლელი თხილის ექსპორტი განხორციელდა 33 ეკონომიკური აგენტის მიერ. ბაზრის ექსპორტის დონის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა **7009** ერთეული, რაც მაღალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. ყველაზე მსხვილ ექსპორტიორ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენდა შპს „აგრიჯორჯია“.

2023 წელს - 23.8 მილიონი ლარის ღირებულების 3 263 ტონა ნაჭუჭგაუცლელი თხილის ექსპორტი განხორციელდა 24 ეკონომიკური აგენტის მიერ. ბაზრის ექსპორტის დონის კონცენტრაციის მაჩვენებელმა - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა **5637** ერთეული, რაც მაღალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. ყველაზე მსხვილ ექსპორტიორ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენდა შპს „აგრიჯორჯია“.

ნაჭუჭგაუცლელი თხილის შემთხვევაში, სააგენტომ დამატებით შეისწავლა ბაზრის მაღალი კონცენტრაციის გამომწვევი მიზეზები. აღნიშნულის წარმოადგენს ბაზრის ამ სეგმენტში (ნაჭუჭგაუცლელი თხილი) ყველაზე მსხვილი კომპანიის, შპს „აგრიჯორჯიას“ საბაზრო წილი, რომელიც 2020-2023 წლებში მერყეობდა [redacted]%-ის ფარგლებში. ნაჭუჭგაუცლელი თხილის ნაწილში, შპს „აგრიჯორჯიას“ საბაზრო წილზე მსჯელობის ნაწილში, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს რამდენიმე გარემოებაზე, კერძოდ:[3]

1. კომპანია თავად ფლობს თხილის კულტურას და შესაბამისად კომპანიის მიერ განხორციელებული ექსპორტის დიდ ნაწილს შეადგენს საკუთარი თხილი. წლების მიხედვით კომპანიის ექსპორტში საკუთარი თხილის მოცულობა შეადგენდა - 2020 წელს [redacted]%-ს, 2021 წელს [redacted]%-ს, 2022 წელს [redacted]%-ს, ხოლო 2023 წელს [redacted]%-ს;
2. ბაზრის ის სეგმენტი (ნაჭუჭგაუცლელი თხილი), სადაც ადგილი აქვს კონცენტრაციის მაღალ ინდექსს, საერთო ჯამში ექსპორტირებული თხილის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს (გრაფიკი 4);

[3] შპს „აგრიჯორჯიას“ 2024 წლის 19 მარტის N01/1540 წერილით მიღებული ინფორმაცია.

3. კომპანიის საბაზრო წილი საერთო ჯამში ექსპორტირებული თხილის ოდენობაში 2020-2023 წლებში მერყეობს [redacted]%-ის ფარგლებში, საიდანაც 2020-2021 წლებში [redacted]%, ხოლო 2022-2023 წლებში [redacted]%-ს შეადგენდა ნაჭუჭგაუცლელი თხილი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნაჭუჭგაუცლელი თხილის შემთხვევაში შპს „აგრიჯორჯიას“ მაღალი პროცენტული წილი და შესაბამისად ბაზრის ამ სეგმენტის კონცენტრაციის მაღალი ხარისხი განპირობებული რიგი ობიექტური ფაქტორებით და მას არ გააჩნია უარყოფითი გავლენა კონკურენტულ გარემოზე.

3. დასკვნა

თხილის შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიერ განხორციელებული მონიტორინგი მოიცავს ბაზრის მრავალმხრივ შეფასებას. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, მოხდა თხილის შესაბამისი ბაზრის პროდუქციული, გეოგრაფიული და დროითი ჩარჩოს განსაზღვრა, ჩატარდა შესაბამისი ბაზრის მრავალმხრივი რაოდენობრივი ანალიზი იმის დასადგენად, არსებობდა თუ არა ბაზარზე დომინანტური ან/და ჯგუფური დომინანტური მდგომარეობა და კონკურენციის შემზღუდველი სხვა ფაქტორების არსებობის რისკი.

მონიტორინგის ფარგლებში, ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოხდა შესაბამისი ბაზრის სეგმენტების, მოქმედი კომპანიებისა და მათი რაოდენობის, საბაზრო წილების და ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის განსაზღვრა. შედეგად დადგინდა:

1. 2021 წელს 2020 წელთან შედარებით 40%-ით გაზრდილია ექსპორტირებული თხილის მოცულობა, თუმცა 4 წლიან ჭრილში მოცულობა კვლავ შემცირდა და 2020-2023 წლების დონეზე შენარჩუნდა პრაქტიკულად იდენტურ ნიშნულზე;

2. თხილის შესაბამისი ბაზრის ექსპორტის დონე ხასიათდება კონცენტრაციის დაბალი ხარისხით და ექსპორტიორი ეკონომიკური აგენტების სიმრავლით, ადგილი არ აქვს დომინანტურ მდგომარეობას და არ ფიქსირდება ჯგუფური დომინანტობისთვის აუცილებელი ერთ-ერთი პირობა საბაზრო წილების სახით;

3. ნაჭუჭგაცლილი თხილის შემთხვევაში, შესაბამისი ბაზრის ექსპორტის დონე ხასიათდება კონცენტრაციის დაბალი ხარისხით და ექსპორტიორი ეკონომიკური აგენტების სიმრავლით, ადგილი არ აქვს დომინანტურ მდგომარეობას და არ ფიქსირდება ჯგუფური დომინანტობისთვის აუცილებელი ერთ-ერთი პირობა საბაზრო წილების სახით;

4. ნაჭუჭგაუცლელი თხილის შემთხვევაში, ბაზარი მაღალკონცენტრირებულია, სახეზეა დომინანტი ეკონომიკური აგენტი. თუმცა, ბაზრის ამგვარი სტრუქტურა განპირობებულია რიგი ობიექტური გარემოებებით, მათ შორის კომპანიების სტრატეგიით მოახდინონ ძირითადად ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტი და შესაბამისად, მას არ აქვს უარყოფითი გავლენა კონკურენტულ გარემოზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დეტალური ანალიზისა და მრავალმხრივი შეფასების საფუძველზე, მონიტორინგის ფარგლებში თხილის ბაზარზე არ გამოიკვეთა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის რისკები. შესაბამისად, არ არსებობს განგრძობითი დაკვირვების წარმოების მიზნით მონიტორინგის გაგრძელების საფუძველი.